

**ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

ბავშვთა ასაკის ონკოჰემატოლოგიური დაავადებების (ლეიკემიები და ლიმფომები) მკურნალობაში თანამედროვე მიდგომების დანერგვამ მნიშვნელოვნად შეცვალა დაავადების გამოსავალი. დღეისათვის პაციენტების უმრავლესობა იკურნება.

„ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურების „სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებს, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას ბენეფიციარის მხრიდან.

პროგრამა მოიცავს როგორც ამბულატორიულ, ასევე, სტაციონარულ მკურნალობას, (მ.შ. ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიას, ასევე, ძვირადღირებულ კვლევებს: იმუნოფენოტიპირებას გამდინარე ციტომერით, კომპიუტერულ კვლევებს, მინიმალურ რეზიდუალურ კვლევებს, ხანგრძლივ მონიტორინგს და ა.შ). ბენეფიციარი იღებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სამედიცინო სერვისს,.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/Bavshvta%20onkohematologia.pdf>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05